ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ადვოკატთა ჯგუფი ადვოკატ დ. ჯ.-ის წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კომისიის წევრი: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: გიგა კვერენჩხილაძე

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: კახაბერ წერეთელი

კომისიის წევრი: ცირა შუბითიძე

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი: დათუნა მოდებაძე

კომისიის წევრი: ზურაბ ძლიერიშვილი

კომისიის წევრი: იური ვაზაგაშვილი

საჩივრის ავტორები: მ. ნ., ქ. შ., ლ. ზ., ზ. ბ., ხ. ზ., ლ. ბ., შ. დ., ც. ო., მ. ნ., მ. შ., თ. ჯ. და ვ. ფ..

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: დ. ჯ., სიითი # //

საჩივრის შემოსვლის თარიღი: 23.07.2010

საჩივრის რეგისტრაციის #057/10

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ჯ.-ისათვის ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და პასუხისმგებლობის დისციპლინური შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორების პოზიცია

1.1 2010 წლის 23 ივლისს ეთიკის კომისიას მომართეს მ. ნ.-მ, ქ. შ., ლ. ზ.-მ, ზ. ბ.-მ, ხ. ზ.-მ, ლ. ბ.-მ, შ. დ.-მ, ც. ო.-მ, მ. ნ.-მ, მ. შ.-მ, თ. ჯ.-მ და ვ. ფ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ დ. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორების განცხადებით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრმა დ. ჯ.-მ დაარღვია ადვოკატთა ეთიკის კოდექსი, რადგან შევიდა გარიგებაში კლიენტთა, თანხა გამოართვა იმ მიზნით, რომ მიუტანდა პროკურორს და მოსამართლეს. საჩივრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ქმედება არის ეთიკის კოდექსის დარღვევა და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

1.3 საჩივრის ავტორების განცხადებით ადვოკატ დ. ჯ.-ის ქმედებით შელახულია მათი ღირსება, რაც დაუშვებელია და ისინი ყველა ზომას მიმართავენ, რათა არ შეილახოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ღირსება.

1.4 საჩივრის ავტორები მოითხოვენ ადვოკატ დ. ჯ.-ს დაეკისროს პასუხისმგებლობა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულებით გათვალისწინებული წესით.

1.5 ეთიკის კომისიის 2010 წლის 24 აგვისტოს სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ერთ-ერთი ავტორი მ. ნ. და კომისიის წინაშე წერილობით წარადგინა ახსნა-განმარტება, რომელშიც აღნიშნულია რომ ადვოკატი დაუკავშირდა პროკურორ ლ. ბ.-ს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს ვითომდა კლიენტის ინტერესებისათვის.

1.6 საჩივრის ერთ-ერთი ავტორი, მ. ნ. მიიჩნევს, რომ ადვოკატთან პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად "ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა."

1.7 საჩივრის ერთ-ერთი ავტორის, მ. ნ.-ის ახსნა-განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს მოსამართლესთან ყოველგვარ კონტაქტს და აღნიშნული დასჯად ქმედებას წარმოადგენს, დ. ჯ. შეხვდა მოსამართლეს, შევიდა მასთან

უკანონო გარიგებაში და მოახდინა ფარული ჩაწერა მათი საუბრის. მ. ნ.-ის განმარტებით, მოსამართლე და პროკურორი დააპატიმრეს და ამჟამად მათ მიმართ გამოტანილია გამომტყუნებელი განაჩენი.

1.8 საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ ადვოკატის ქმედების შედეგად ზიანი მიადგა ასევე მის დაცვის ქვეშ მყოფ პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.

1.9 საჩივრის ერთ-ერთი ავტორის, მ. ნ.-ის ახსნა-განმარტების მიხედვით ადვოკატ დ. ჯ.-ის ქმედებებით შეილახა მისი უფლებები, როგორც ადვოკატის, ჩრდილი მიადგა არა მარტო მას, არამედ მთლიანად ადვოკატებს. საჩივრის ერთ-ერთი ავტორი, მ. ნ. აღნიშნავს, რომ მთელი ცხოვრება მისი საქმიანობის პრიორიტეტი იყო ემსახურა მისი პროფესიისა და კანონის ინტერესებისათვის, რის გამოც უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. საჩივრის ერთ-ერთი ავტორის მ. ნ.-ის განცხადებით ადვოკატის პროფესია მისთვის ღირსების საქმეა და ადვოკატ დ. ჯ.-ის ქმედებით შეურაცხყოფილია, ხოლო საზოგადოება ასეთი ადვოკატების ქმედების შედეგად რწმენას კარგავს ადვოკატების მიმართ და უნდობლობას წარმოქმნის.

1.10 ეთიკის კომისიის 2011 წლის 23 თებერვლის ეთიკის კომისიის სხდომაზე არ გამოცხადდენ საჩივრის ავტორები.

2. ადვოკატ დ. ჯ.-ის განმარტების მიხედვით:

2.1 ადვოკატი დ. ჯ. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 2010 წლის 24 აგვისტოს სხდომაზე არ გამოცხადდა. მოგვიანებით, ეთიკის კომისიის წინაშე ადვოკატმა წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატ დ. ჯ.-ის ახსნა-განმარტების თანახმად მისთვის გაუგებარია რატომ ადანაშაულებს მას 13 კოლეგა, ვინაიდან არავისთვის გამოურთმევია პროკურორთან და მოსამართლესთან მისატანი თანხა. ადვოკატის განმარტებით საჩივრის ავტორების ბრალდებები აბსურდულია.

2.3 ადვოკატი ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ გასული წლის ნოემბრის თვიდან აქტიურად მიმდინარეობს მის წინააღმდეგ დისკრეტაციის შემცველი ინფორმაციის გავრცელება.

2.4 ეთიკის კომისიის 2011 წლის 23 თებერვლის სხდომაზე არ გამოცხადდა ადვოკატი დ. ჯ.. ეთიკის კომისიის სხდომაზე გამოცხადდა მისი წარმომადგენელი ი. ზ..

2.5 დ. ჯ.-ის წარმომადგენლმა ი. ზ.-მ ახსნა-განმარტებითი სიტყვისას ეთიკის კომისიას გააცნო დ. ჯ.-ის პოზიცია მის წინააღმდეგ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით. ი. ზ.-მ ეთიკის კომისიის წინაშე განაცხადა, რომ დ. ჯ. და ვინმე თ. იცავდნენ ერთ პიროვნებას. კლიენტს უნდა გადაეხადა "გარკველი თანხა", რომელიც არ გადაიხადა. თ. დ. ჯ.-ს თხოვდა თანხას, რომლის თაობაზეც პროკურატურისთვის გახდა ცნობილი და დ. ჯ. დაიბარეს ახსნა-განმარტებისთვის.

2.5.1 ი. ზ.-ს განცხადებით დ. ჯ.-ს პროკურატურა დაემუქრა დაჭერით თუ ინფორმაციას არ მიაწოდებდა აღნიშნული საქმის თაობაზე. დ. ჯ.-მ პროკურატურას განუცხადა, რომ ბ.-ს

ასესხა გარკვეული თანხა, ეს გარემოება პროკურატურამ გამოიყენა არასწორად, რასაც შედეგად ბ.-ის დაპატიმრება მოჰყვა.

2.6 ი. ზ. აღნიშნავს, რომ თუ დ. ჯ.-მ რაღაც გადაცდომა ჩაიდინა, ის არის სისტემის მსხვერპლი, ადამიანს როცა გაუჭირდება, "შიშს აქვს დიდი თვალები", ზოგი ბევრს და ზოგი ნაკლებს უძლებს. საბოლოოდ, დ. ჯ. არის მოქმედი რეჟიმის და სისტემის მსხვერპლი.

2.7 ი. ზ.-ს განცხადებით დ. ჯ. არ ეთანხმება განაჩენში მითითებულ გარემოებებს და განმარტავს, რომ საქმის ვითარება სხვაგვარად იყო. ი. ზ. განმარტავს, რომ დ. ჯ.-ს ამ განაჩენის გასაჩივრების არავითარი სამართლებრივი და პროცესუალური საშუალება არ ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობით.

2.8 ი. ზ.-ს ახსნა-განმარტებით საკითხის გადაწყვეტისას, იმის თაობაზე, რომ დ. ჯ. ასოციაციიდან გავაგდოთ, თუ უფლებამოსილება შევუწყვიტოთ თუ შევუჩეროთ, მას მიაჩნია, რომ საპროცესო შეთანხმებით დადგენილ გარემოებებზე, სადაც ჯ.-ს არ მიუღია პროცესში მონაწილეობა და მას არ ჰქონდა ამ განაჩენის გასაჩივრების საშუალება და პროცესუალური საფუძველი, არ შეიძლება დავეყრდნოთ განაჩენს და გამოვუტანოთY ვერდიქტი.

2.9 ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატ დ. ჯ.-ის წარმომადგენელმა ი. ზ.-მ დასკვნით სიტყვაში აღნიშნა, რომ დ. ჯ. არ ეთანხმება განაჩენში მოყვანილ გარემოებებს და აცხადებს, რომ საქმის ვითარებას წარმოადგენდა სხვა გარემოებები. დ. ჯ.-მ ითანამშრომლა გამოძიებასთან, მის მიმართ არ განხორციელებულა სისხლისსამართლებრივი დევნა, არ არის დადგენილი გამამატყუნებელი განაჩენი, არ არის წარმოდგენილი პროცესუალური აქტი, რომ პროკურატურამ გამოიყენა დისკრეციული უფლებამოსილება და არ აწარმოა სისხლისსამართლებრივი დევნა დ. ჯ.-ის წინააღდეგ.

2.10 ადვოკატ დ. ჯ.-ის წარმოამდგენელი ი. ზ. მიიჩნევს, რომ საჩივარში მოყვანილი გარემოებები არ არის დამტკიცებული და დადასტურებული. შესაბამისად, ადვოკატ დ. ჯ.-ს არ უნდა დაეკისროს "ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისიწნებული პასუხისმგებლობა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ დ. ჯ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ შემდგომში, საქმის განხილვის ეტაპზე, შეიძლება უტყუარად დადასტურდეს, რომ შევიდა თუ არა ადვოკატი უკანონო გარიგებაში

მოსამართლესთან, პროკურორთან და ამით დაარღვია, თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის წესები.

3.4 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ ადვოკატ დ. ჯ.ზე არ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა (რაც მოქმედი კანონმდებლობით პროკურატურის დისკრეციული უფლებაა) ადვოკატმა შესაძლოა დაარღვია "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საადვოკატო საქმიანობის პრინციპები, კანონიერება, ეთიკურობა, რის გამოც მის მიმართ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

4. მესამე დისციპლინური კოლეგიის პოზიცია

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ საქმე განსახილველად გადაეცა მესამე დისციპლინურ კოლეგიას. მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების 36-ე მუხლით და 2011 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი.

5. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1. დ. ჯ. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით იცავდა . წ.-ის ინტერესებს, რომელთანაც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 ივლისის განაჩენი, საქმეზე # X/XXXX-XX (გვ. 2, აბზაცი 3)

5.1.2. დ. ჯ. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით წარმოადგენდა მისი კლიენტის _ დ. მ.-ის ინტერესებს, რომელთანაც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება პირობით მსჯავრთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 ივლისის განაჩენი, საქმეზე # X/XXXX-XX (გვ. 3, აბზაცი 1)

2. ადვოკატ დ. ჯ.-ის წარმომადგენლის ი. ზ.-ს ახსნა-განმარტება (სხდომის ოქმი, გვ. 4, აბზაცი 1)

5.1.3.დ. მ.-ის ინტერესების დაცვისას, ადვოკატ დ. ჯ. თანამშრომლობდა pროკურატურასთან და მონაწილეობას ღებულობდა პროკურატურის მიერ დადგეგმილ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებაში, რის თაობაზეც დ. მ.-ს არ გააჩნდა ინფორმაცია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ დ. ჯ.-ის წარმოამდგენლის ი. ზ.-ს ახსნა-განმარტება (სხდომის ოქმი გვ. 6)
2. განმცხადებლების 2010 წლის 27 ივლისის საჩივარი. (გვ. 1)

5.2. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებაა:

5.2.1. ადვოკატი დ. ჯ. და პროკურორი ლ. ბ. შეთანხმდნენ, რომ გარკვეული ოდენობის თანხის სანაცვლოდ სისხლის სამართლის საქმეზე . წ.-ისთვის სასურველი პირობებით საპროცესო შეთანხმება გაფორმდებოდა, რისთვისაც დ. ჯ.-მ პროკურორ ლ. ბ.-ს ქრთამის სახის გადასცა 1500 ლარი.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორებსა და ადვოკატ დ. ჯ.-ის წარმომადგენლს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

1.2.1.2. ადვოკატის წარმომადგენლის, ი. ზ.-ს ახსნა-განმარტებით დ. ჯ.-მ პროკურორ ლ. ბ.-ს ასესხა განაჩენში მოხსენებული თანხა და ქრთამის მიცემას ადგილი არ ჰქონია.

1.2.1.3 განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ ადვოკატ დ. ჯ.-მ პროკურორს ქრთამის სახით გადასცა თანხა. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილი განაჩენის მიხედვით, 2010 წლის 21 მაისს დ. ჯ. ქ. გორში შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურასთან შეხვდა ლ. ბ.-ს. დ. ჯ.-მ ლ. ბ.-ს ქრთამის სახით გადასცა 1500 ლარი.

1.2.1.4 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მას შეუძლია დაეყრდნოს სასამართლოს განაჩენში მითითებულ, გამოძიებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოება თუ არ არსებობს მისი გაქარწყლებისათვის მნიშვნელოვანი გარემოება ან სხვა უტყუარი მტკიცებულება. კომისია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატ დ. ჯ.-ის წარმომადგენელს ეთიკის კომისიის წინაშე სხვა მტკიცებულება, განაჩენში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საპირისპიროდ არ წარმოუდგენია. ამასთან, ადვოკატი დ. ჯ. ეთიკის კომისიის წინაშე არ გამოცხადდა ახსნა-განმარტების დასაფიქსირებლად, ხოლო მისი წარმომადგენელი ი. ზ. პროკურორისათვის თანხის სესხების თაობაზე გარემოების დადგენისათვის საკმარის და დეტალურ ინფორმაციას არ ფლობდა.

შესაბამისად ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ დგინდება ის ფაქტი, რომ დ. ჯ.-მ ლ. ბ.-ს ქრთამის სახით გადასცა 1500 ლარი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 ივლისის განაჩენი, საქმეზე # X/XXXX-XX (გვ. 3, აბზაცი 2 და 6)

2. დ. ჯ.-ის წარმომადგენლის, ი. ზ.-ს ახსნა-განმარტება (სხდომის ოქმი გვ. 4-5)

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. ჯ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. ჯ.-ის მიერ დარღვეულ იქნა შემდეგი ნორმები:

ა) "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად "ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით."

ბ) "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტი, რომლის თანახმად, "ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მის საქმის წარმოებასთან."

გ) "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, "ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობა და დამოუკიდებლობას"

დ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მესამე მუხლით გათვალისწინებული ნდობის პრინციპი, რომლის თანახმად, "ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და მიუკერძოებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა."

ე) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მეხუთე მუხლით გათვალისწინებული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი პრინციპი, რომლის თანახმად, "ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა."

7.1. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ დ. ჯ.-ის მიერ დარღვეული იქნა ადვოკატთა შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულება დაეცვა კლიენტი

კანონით გათვალისწინებული საშუალებებით. როდესაც ადვოკატს კლიენტი სამართლებრივი დახმარებისათვის მიმართავს, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა გამოიყენოს მხოლოდ კანონით დაშვებული დაცვის საშუალებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატის ქმედება გამოიწვევს კანონის ზემოაღნიშნული მუხლისა და პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალსიწინებული ვალდებულებების დარღვევას.

7.2. ეთიკის კომისიამ, დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით საქმეში #010/10 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა სქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად."

7.3. ეთიკის კომისია ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე Brandstetter V Austia (განაცხადი №11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება). ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ,,დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებელად მიიჩნევს არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნას ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ადვოკატმა დაცვის განხორციელებისას პატივი უნდა სცეს სასამართლოს და სხვა პირთა უფლებებს. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში."

7.4. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მართალია ადვოკატის მიზანი კლიენტის ინტერესების დაცვაა, მაგრამ აღნიშნული ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონით გაუთვალსწინებელი, კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამის თაობაზე მას კლიენტმა თხოვოს და კლიენტს საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.

7.5. ევროსასამართლომ საქმეზე X v Sweatzerland (განაცხადი №9/27/80, 1992 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება), და საქმეში X v The United Kingdom (განაცხადი #7215/75, 1981 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა ადვოკატის ვალდებულება დაიცვას პროფესიული პრინციპები. სასამართლომ აღნიშნა, რომ ,,დაცვის უფლება არ ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს თავისი პროფესიული პრინციპებისა და შეხედულებების წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ აღჭურვავს ბრალდებულს უფლებით მოსთხოვოს თავის ადვოკატს ისეთი დაცვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა მის პროფესიულ პრინციპებთან და შესაბამისად არც ადვოკატს არ აქვს უფლება ამგვარად იმოქმედოს დაცვის განხორციელებისას პროცესში."

7.6. აღსანიშნავია, რომ ადვოკატი მისი მოქმედებით ორიენტირებული იყო უკანონო გზით შედეგის მიღწევაზე და არა სამართლებრივი გზით კლიენტის დახმარების აღმოჩენაზე. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის ქრთამის მიცემის თაობაზე განხორციელებული მოქმედებით საფრთხე შეექმნა კლიენტის ინტერესების დაცვას და პირადად კლიენტი დააყენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ, როდესაც უკანონო ხერხით განახორციელა კლიენტისთვის სასურველი შედეგის მიღწევა.

7.7. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. ჯ.-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მეხუთე მუხლის დარღვევას, რომელიც კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს ადგენს.

7.8. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობაში უმთავრესი პრინციპია ადვოკატის მიერ კლიენტისადმი ერთგულების ვალდებულება. კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ინტერესთა კონფლიქტი სხვა პირთა ინტერესებსა და კლიენტის ინტერსებს შორის წარმოადგენს ზემოთდასახელებული პრინციპის დარღვევას.

7.9. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართული კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში.

7.10. ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით და უნდა მიიღოს მისგან უფლებამოსილება შემდგომი ქმედებების განხორციელების თაობაზე. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნას მოწონებული კლიენტის მიერ. კლიენტი ენდობა ადვოკატს და ადვოკატმა უნდა გაამართლოს ეს ნდობა.

7.11. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით ადვოკატი ვალდებულია მიაწოდოს კლიენტს ნებისმიერი ინფორმაცია, რათა კლიენტმა შემდეგში მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე.

7.12. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის დამოუკიდებლებაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები იყოფა ოთხ კატეგორიად: სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, მათ შორის სასამართლოსა და პროკურატურისაგან; დამოუკიდებლობა მესამე პირების ზეგავლებისაგან, მათ შორის სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან; დამოუკიდებლობა კლიენტისაგან და

დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე.

7.13. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ დ. მ.-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ, როგორც დ. ჯ.-ის წარმომადგენელმა კომისიისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში დაადასტურა, რომ ადვოკატმა ჯ.მ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო, ისე, რომ ამის თაობაზე კლიენტი არ იყო ინფორმირებული და არც თანხმობა მიუცია.

7.14. ამასთან, ადვოკატის მიერ განხორციელებულ ქმედებას შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადვოკატი მოქმედებდა სუბიექტური ფაქტორის, შიშის გათვალისწინებით და არა კლიენტის ინტერესებისდან გამომდინარე. ადვოკატს, მას შემდეგ, რაც ის დათანხმდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობაზე, შესაბამისი კანონმდებლობით დაეკისრა ასეთი ღონისძიების თაობაზე კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, მათ შორის კლიენტისგან, თუმცა რადგან ამავდროულად ის აგრძელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, მას კვლავაც ჰქონდა ვალდებულება კლიენტისთვის მისი საქმიდან გამომდინარე ყველა სახის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. შესაბამისად ადვოკატმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობაზე თანხმობის გაცემით იმ პირობებში, როცა კლიენტი ამის თაობაზე არ იყოს ინფორმირებული, თავი ჩაიყენა კანონმდებლობის ურთიერთგამომრიცხავი რომელიმე მოთხოვნის დარღვევის რეალობის წინაშე. კონკრეტულ შემთხვევაში მან დაარღვია "ადვოკატთა შესახებ" კანონის 6-ე მუხლის მეორე პუნქტი.

7.15. ეთიკის კომისიის აზრით, ზოგადად ადვოკატის მონაწილეობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში არ წარმოადგენს კანონის დარღვევას, თუ დაცულია ორი წინაპირობა: 1. ასეთი მონაწილეობა არ უნდა ხდებოდეს კონტრაქტის საფუძველზე (იხ. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის 16-ე მუხლის მე-3 ნაწილი), 2. თუ ასეთი ღონისძიების განხორციელებასთან ამავდროულად ხდება კლიენტის დაცვა ან წარმომადგენლობა, ეს უნდა განხორციელდეს კლიენტის ინფორმირებით კანონით დადგენილი წესით და ადვოკატმა ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობას უნდა დათანხმდეს კლიენტის თანხმობის მიღების შემდეგ ან შეწყვიტოს კლიენტის დაცვა, თუ ამის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული წინაპირობები არსებობს და მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი იქნება "ადვოკატთა შესახებ" კანონის 6-ე მუხლის მეორე ნაწილის დარღვევა (ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება), რაც მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში.

7.16. გარდა ზემოაღნიშნული ვალდებულებისა, ადვოკატმა ზემოაღნიშნული ღონისძიებაში მონაწილეობით წინა პარაგრაფში განსაზღვრული წინაპირობების არარსებობისას შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ასევე კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის, კლიენტის ადვოკატის მიმართ ნდობა და ადვოკატის დამოუკიდებლობა, რომელთა დაცვის ვალდებულება ადვოკატს აქვს "ადვოკატთა შესახებ" კანონის 8-ე მუხლის პირველი ნაწილის და პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 და მე-5 მუხლების შესაბამისად.

7.17. ეთიკის კომისია ასევე ეყრდნობა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას #(2000)21 და აღნიშნავს, რომ ადვოკატთა ასოციაციებმა და ადვოკატთა სხვა გაერთიანებებმა უნდა დაადგინონ პროფესიული სტანდარტები და ქცევის წესები და უნდა უზრუნველყონ, რომ კლიენტის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შესაბამისად, ადვოკატს ჰქონდეს ვალდებულება იმოქმედოს დამოუკიდებლად, გულმოდგინედ და სამართლიანად.

7.18. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ის მხედველობაში იღებს არა მარტო კლიენტისთვის ზიანის მიყენების რეალურ შემთხვევას, არამედ ასევე ასეთი ზიანის მიყენების რისკს, რომელიც არამარტო კონკრეტული კლიენტის ინტერესებს შეეხება, არამედ საფრთხე ექმნება ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების სისტემის არსებითი ნაწილის, მიმართ კლიენტებისა და საზოგადოების სხვა წევრთა ნდობას, რადგან საზოგადოებას ასეთ შემთხვევებში ექმნება წარმოდგენა ადვოკატთა მიმართ, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო საშუალებებით ცდილობენ კლიენტისათვის წარმომადგენლობის განხორციელებას.

7.19. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით გათვალისწინებული მოქმედებებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საზოგადოებაში საფრთხე არ შეუქმნას.

სარეზოლუციო ნაწილი:

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, "ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, მე-8 მუხლის მეორე პუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მეხუთე მუხლით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ადვოკატ დ. ჯ.-ს, სიითი # // მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 18 თვის ვადით.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი მხარეებს გაეგზავნოთ გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.

3. ადვოკატ დ. ჯ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი კორძახია _ კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ბეგიაშვილი _ კომისიის წევრი

კობა ბოჭორიშვილი _ კომისიის წევრი

ეკატერინე გასიტაშვილი _ კომისიის წევრი

დავით კაკაბაძე _ კომისიის წევრი

გიგა კვერენჩხილაძე _ კომისიის წევრი

ემზარ პაქსაძე _ კომისიის წევრი

კახაბერ წერეთელი _ კომისიის წევრი

ცირა შუბითიძე _ კომისიის წევრი

ლავრენტი ქავთარაძე _ კომისიის წევრი

დათუნა მოდებაძე _ კომისიის წევრი

იური ვაზაგაშვილი _ კომისიის წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი _ კომისიის წევრი